შ.პ.ს. ალტრიქს ლოჯისტიკა - Llc  Altrix Logistics– 402342504
ბელიაშვილის ქ. 104
0159 თბილისი, საქართველო
104, Beliashvili  Str.
0159 Tbilisi, Georgia
info@altrix.ge

**სატენდერო განაცხადი**

**სასაწყობე ფართის ელექტრო-მექანიკური სისტემების შესყიდვა და მონტაჟი**

შპს „ალტრიქს ლოჯისტიკა“ და შპს „ალტატრა“ აცხადებენ ტენდერს სასაწყობე ფართში ელექტრო-მექანიკური სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

**1. ტენდერის საგანი**

ტენდერი მოიცავს შემდეგი სისტემების მიწოდებასა და მონტაჟს:

- ✓ ელექტრომომარაგების სისტემა;
- ✓ სახანძრო დეტექციისა და შეტყობინების სისტემა;
- ✓ შიდა განათების სისტემა;
- ✓ ავარიული განათების სისტემა;
- ✓ კვამლის კონტროლის სისტემა;
- ✓ ხანძარქრობის სისტემა.

**2. სამუშაოების შესრულების ვადები**

- სამუშაოების დაწყება – აგვისტო, 2026 წელი;
- სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადა – ოქტომბერი, 2026 წელი.

**3. სამუშაოების შესრულების ადგილი**

სამუშაოების შესრულების ლოკაცია: სოფელი გამარჯვება, საქართველო.

**4. ფასობრივი და კომერციული წინადადების წარდგენა**

**ფასების წარმოდგენის პირობები**

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასობრივი წინადადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარი);
- ღირებულება უნდა მოიცავდეს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და გადასახადს, მათ შორის დღგ-ს;
- ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს სამუშაოების ეტაპების მიხედვით დეტალიზებული სახით;

- ხელშეკრულების შაბლონს წარადგენს დამკვეთი;
- გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საავანსო თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

**კომერციული წინადადების სავალდებულო დანართები**

- ხარჯთაღრიცხვა;
- პროექტის შესრულების კალენდარული გრაფიკი.

**5. BOQ-ის შევსების მოთხოვნა**

პრეტენდენტები ვალდებულნი არიან სრულად შეავსონ დამკვეთის მიერ მომზადებული სამუშაოების მოცულობათა უწყისი (BOQ).

**6. საბოლოო ღირებულების განსაზღვრა**

ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა დაადასტუროს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა და სამუშაოების მოცულობები. საბოლოო სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების ხელმოწერისას.

**7. სავალდებულო საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია**

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური პროექტების ჩამონათვალი;
- გამოყენებული მასალების ხარისხისა და შესაბამისობის სერტიფიკატები;
- კორპორატიული კლიენტების სია;
- არანაკლებ 3 (სამი) სარეკომენდაციო წერილი, გაცემული ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში;
- საგარანტიო პირობების აღწერა;
- დადასტურება, რომ წინადადება ძალაში იქნება წარდგენიდან მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**8. სატენდერო პროცედურები**

- შეფასდება მხოლოდ სრულყოფილად წარმოდგენილი განაცხადები;
- გამარჯვებულს გამოავლენს დამკვეთის მიერ შექმნილი სატენდერო კომიტეტი;
- დამკვეთი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ ეტაპზე შეცვალოს ტენდერის ვადები ან შეწყვიტოს სატენდერო პროცესი.

შ.პ.ს. ალტრიქს ლოჯისტიკა - Llc Altrix Logistics– 402342504
ბელიაშვილის ქ. 104
0159 თბილისი, საქართველო
104, Beliashvili Str.
0159 Tbilisi, Georgia
info@altrix.ge

**9. ელექტრონული ტენდერის პირობები**

- სატენდერო განაცხადი უნდა აიტვირთოს პლატფორმაზე tenders.ge;
- შეკითხვები მიიღება მხოლოდ Q&A მოდულის მეშვეობით;
- განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადა: 10 ივლისი 2026 წელი, 17:00 საათი;
- ვალუტა: ქართული ლარი (GEL);
- ელექტრონული ვაჭრობა: არ გაიმართება.

**10. საკონტაქტო ინფორმაცია**

**შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი**

თამარ იმერლიშვილი

ელ. ფოსტა: info@altrix.ge

ტელ.: +995 571 77 22 11